



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 4
26/01/2018

4-04-4-201801261713



**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
ინერტული მასალის მოპოვებასთან დაკავშირებით
აჭარის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის
გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების მე-6
მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინერტული მასალის
მოპოვებასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტი თანახმად დანართისა.

2. განკარგულებით დამტკიცებული მიმართვის ტექსტის აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულკება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით
დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში
ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის
გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის, სოფელ ცხემნისა და სოფელ დოლოგნის ტერიტორიაზე, მდინარე აჭარისწყლის კალაპოტში თითქმის სამ წელზე მეტია მიმდინარეობს ინერტული მასალების მოპოვება. კარიერებიდან ინერტული მასალების გატანა უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება მძიმე ტვირთამწეობის თვითმცლელი ავტომანქანებით, რომლებიც არღვევენ ტვირთის გადაზიდვის ყოველგვარ ნორმებს. კერძოდ, საერთოდ არ არის დაცული ავტომობილების ღერძზე დატვირთვის წესები, ასევე მოპოვებული ინერტული მასალის გადაზიდვა ხორციელდება სველ მდგომარეობაში, რის გამოც სატვირთო ავტომობილებიდან გადმოღვრილი ტალახიანი წყლის მასა იღვრება გზის სავალ ნაწილზე და იწვევს ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის დაზიანებას. ამ დროისათვის ცენტრალური მაგისტრალის ეს მონაკვეთი დაზიანებულია ისე, რომ ავტომობილების უსაფრთხო გადაადგილება თითქმის შეუძლებელია.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო გთხოვთ, თქვენს შუამდგომლობას შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, რათა აღმოფხვრილი იქნას შექმნილი ვითარება და ჩაუტარდეს საავტომობილო გზას სრული რეაბილიტაცია.

პატივისცემით,

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე